საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2022 წლის 10 ნოემბერი**

დისციპლინური საქმე №94/19
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

-- -- 2019 წლის 24 მაისის №94 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75^6 მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 5 ივნისის №275/94-03 წერილით მოსამართლეს ეცნობა მის მიმართ საჩივრის შემოსვლის და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

1.1. საჩივრის ავტორი მიუთითებს დასაბუთებული განჩინებების ჩაბარების გაჭიანურებაზე.

1.2. საჩივრის ავტორის აზრით მოსამართლეს უნდა დაეკმაყოფილებინა შუამდგომლობა მოსამართლის აცილებაზე.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2.1. 2015 წლის 18 აგვისტოს -- -- სარჩელით მიმართა -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის - -- -- საკრებულოს -- -- კომისიის მიმართ, 2015 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილების ნაწილობრივ ბათილად ცნობის და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალების მოთხოვნით.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილებით, -- -- სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა -- --.

-- -- 2017 წლის 9 მარტს განცხადებით მიმართა -- სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლეს -- -- და მოითხოვა განსახილველი საქმიდან მოსამართლის აცილება, ვინაიდან მოსამართლე -- -- ადრეც მონაწილეობდა მისი საქმეების განხილვაში ანალოგიურ საქმეზე.

-- -- განცხადება აცილების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

-- სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლის -- -- 2018 წლის 31 მაისის განჩინებით, -- -- სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა (საქმე №--).

2.2. 2015 წლის 24 აგვისტოს -- -- სარჩელით მიმართა -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის - სსიპ -- -- მიმართ, ,,საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ სახელმწიფო ქონების მართვის სააგენტოსათვის ქონების გაცვლაზე თანხმობის მიცემის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 18 მაისის -- განკარგულების და 2015 წლის 27 მაისის ქონების ურთიერთგადაცემის ხელშეკრულების ბათილად ცნობის მოთხოვნით.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილებით, -- -- სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

2016 წლის 19 დეკემბერს -- -- სააპელაციო საჩივრით მიმართა -- სააპელაციო სასამართლოს.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლის -- -- 2017 წლის 6 იანვრის განჩინებით, -- -- სააპელაციო საჩივარი განსახილველად იქნა მიღებული.

-- -- 2017 წლის 9 მარტს განცხადებით მიმართა -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლეს -- -- და მოითხოვა განსახილველი საქმიდან მოსამართლის აცილება, ვინაიდან მოსამართლე -- -- ადრეც მონაწილეობდა მისი საქმეების განხილვაში ანალოგიურ საქმეზე.

-- -- აცილების განცხადებას თან ერთვოდა მოსამართლე -- -- 2016 წლის 31 მარტის განჩინება -- -- კერძო საჩივართან დაკავშირებით, რითაც საჩივრის ავტორს უარი ეთქვა -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 25 დეკემბრის განჩინების გაუქმების მოთხოვნაზე.

აცილების განცხადებაზე ასევე თანდართული იყო -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლის 2008 წლის 22 ოქტომბრის განჩინება, რითაც -- -- უარი ეთქვა დაზუსტებული სასარჩელო განცხადების წარმოებაში მიღებაზე. საქმეზე მოპასუხე იყო -- -- მერია და სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენდა იჯარით აღებული ფართის პრივატიზაციის გზით საკუთრებაში გადაცემისა და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაცემა.

-- -- შუამდგომლობა მოსამართლის აცილების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

-- სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის (თავმჯდომარე - -- --, მოსამართლეები - -- --, -- --) 2018 წლის 31 მაისის განჩინებით, -- -- სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილება.

-- სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის (თავმჯდომარე - -- --, მოსამართლეები - -- --, -- --) 2018 წლის 31 მაისის განჩინება მხარეებს (მათ შორის -- --) გაეგზავნათ 2 აგვისტოს.

-- -- განჩინება გაეგზავნა სააპელაციო საჩივარში მითითებულ მისამართზე.

საქართველოს ფოსტის მონაცემებზე დაყრდნობით, არასრული მისამართის მიზეზით -- -- განჩინება არ ჩაბარებია.

საქმის მასალების თანახმად, -- -- განჩინება განმეორებით გაეგზავნა 2019 წლის 11 იანვარს, რაც ასევე არასრული მისამართის მიზეზით ვერ ჩაბარდა ადრესატს.

საქმის მასალების თანახმად, -- -- განჩინება კვლავ გაეგზავნა 2019 წლის 24 იანვარს, რის ჩაბარებაზეც, საქართველოს ფოსტის წარმომადგენლის ჩანაწერზე დაყრდნობით, ადრესატმა განაცხადა უარი.

2018 წლის 31 მაისის განჩინება -- -- დამატებით გაეგზავნა 2019 წლის 31 იანვარს, რაც ადრესატმა ჩაიბარა პირადად (საქმე №--).

2.3. 2015 წლის 2 ნოემბერს -- -- სარჩელით მიმართა -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის - -- -- მიმართ, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის და ქმედების განხორციელების მოთხოვნით.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 25 დეკემბრის განჩინებით, -- -- სარჩელზე (მათ შორის თანმდევ სასარჩელო მოთხოვნაზე) შეწყდა საქმის წარმოება სარჩელის დაუშვებლობის საფუძვლით - ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრებისათვის კანონით დადგენილი ერთთვიანი ვადის დარღვევის გამო.

2016 წლის 20 იანვარს -- -- კერძო საჩივრით მიმართა -- სააპელაციო სასამართლოს.

-- სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლის -- -- 2016 წლის 31 მარტის განჩინებით, -- -- კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 25 დეკემბრის განჩინება.

2016 წლის 25 ივლისს -- -- საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 21 სექტემბრის განჩინებით, -- -- საკასაციო საჩივარი დარჩა განუხილველი დაუშვებლობის გამო (საქმე №--).

2.4. განსახილველ საკითხთან დაკავშირებით ასევე მნიშვნელოვანია შეფასდეს მოსამართლის დატვირთულობა და მასზე განსახილველად გადაცემულ და მის მიერ დასრულებულ საქმეთა რაოდენობა. -- -- სასამართლოს სტატისტიკური მონაცემებით მოსამართლე -- -- 2018 წლის მდგომარეობით განსახილველად ეწერა 505 საქმე, საიდანაც დასრულდა - 305 საქმე (60%).

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 15 ივლისის დასკვნა:

-- -- 2019 წლის 24 მაისის №94 საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს (2020 წლის 1 იანვრამდე მოქმედი რედაქცია).

4. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს, საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს, კერძოდ, უნდა შეფასდეს შეიცავს თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს განსახილველ საქმეზე საჩივრის ავტორის მიერ დასახელებული საკითხები.

3.1. საჩივრის ავტორი მიუთითებს დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარების ვადის დარღვევაზე, რაც თავისმხრივ მიესადაგება „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვლება „მოსამართლის მიერ საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევა“ (2020 წლის 1 იანვრიდან მოქმედი რედაქცია).

მნიშვნელოვანია განისაზღვროს რას წარმოადგენს - საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითი დარღვევა. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ამ ვადის არსებითად დარღვევის მიზეზი არასაპატიოდ არ ჩაითვლება, თუ მოსამართლემ აღნიშნული ვადა უშუალოდ მართლმსაჯულების განხორციელებასთან დაკავშირებულ ობიექტურ გარემოებათა (საქმეთა სიმრავლე, საქმის სირთულე და სხვა) გამო ვერ დაიცვა. არსებითად დარღვევად უნდა ჩაითვალოს მოსამართლის ისეთი ქმედება, რომელმაც ზიანი მიაყენა მხარეს, სასამართლოს ან საჯარო ინტერესს.

საპროცესო ვადის არსებით დარღვევაზე მსჯელობისას აუცილებელია ყურადღება მიექცეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლს (რომელიც მოიცავს სამართლიანი სასამართლოს მიერ საქმის გონივრულ ვადაში განხილვის უფლებას) და იმ კრიტერიუმებს, რასაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მე-6 მუხლის დარღვევის დადგენის დროს (საქმის განხილვის გონივრული ვადის დარღვევის გამო) იყენებს.

სასამართლოს ხელმისაწვდომობა გულისხმობს არა მარტო სამართალწარმოების დაწყების უფლებას, არამედ, საქმის გადაწყვეტის უფლებასა და საბოლოო გადაწყვეტილების აღსრულებას. სამართლიანი სასამართლოს უფლება თავის თავში მოიაზრებს სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებას, რომლის საშუალებითაც ხდება დარღვეული უფლებების სრულად აღდგენა. აქვე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ განმარტა, რომ მე-6 (§1) მუხლი ნებისმიერ პირს აძლევს შესაძლებლობას, სასამართლოს წარუდგინოს თავის სამოქალაქო უფლებებთან და მოვალეობებთან დაკავშირებული საჩივარი (Apostol v. Georgia §54).

ამავდროულად, საქართველოს კონსტიტუციით განმტკიცებული სამართლიანი სასამართლოს უფლება არ შემოიფარგლება მხოლოდ სასამართლოსადმი მიმართვის, სასამართლოს პროცესის სრულყოფილად და კონსტიტუციის მოთხოვნების შესაბამისი პროცედურებით წარმართვის ან/და ზემდგომ ინსტანციაში გასაჩივრების უფლებით. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, იმისთვის, რომ პირმა სრულყოფილად ისარგებლოს კონსტიტუციით მისთვის მინიჭებული სამართლიანი სასამართლოს უფლებით, სახელმწიფო ვალდებულია, შეიმუშაოს სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების შესაბამისი პროცედურები/რეგულაციები, რომლებიც თანაბრად დაიცავს აღსრულების პროცესში მონაწილე ყველა მხარის უფლებებს ან/და კანონიერ ინტერესებს.[1]

მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპებისა და მისი კომენტარების თანახმად, საქმეების ეფექტიანად, სამართლიანად და საკმარისად სწრაფად განხილვისას მოსამართლემ უნდა გამოიჩინოს სათანადო ყურადღება იმ მხარეთა უფლებების მიმართ, რომლებიც მის წინაშე გამოდიან და უზრუნველყოს სადავო საკითხების გადაწყვეტა ზედმეტი დანახარჯებისა და სამართალწარმოების გაუმართლებელი გაჭიანურების გარეშე.[2]

საპროცესო ვადებზე საუბრისას მნიშვნელოვანია ყურადღება გავამახვილოთ სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განსაზღვრულ საქმის განხილვის შესაბამის ვადებზე, რადგან ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. ამავე კოდექსის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლო მხარეებს ან მათ წარმომადგენლებს უგზავნის იმ გადაწყვეტილების, განჩინების ან ბრძანების ასლს, რომელიც ექვემდებარება გასაჩივრებას იმავე ან ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში. სხვა სასამართლო აქტების ასლები მხარეებს ან მათ წარმომადგენლებს გადაეცემათ მათი წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე. ხოლო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 14 დღის ვადაში სასამართლო ამზადებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მხარეთათვის გადასაცემად.

განსახილველ შემთხვევაში, მოსამართლე -- -- განჩინება მიიღო 2018 წლის 31 მაისს, შესაბამისად, განჩინების მიღებიდან მე-14 დღედ უნდა ჩაითვალოს 2018 წლის 13 ივნისი, რა პერიოდიდანაც, დასაბუთებული გადაწყვეტილება მხარეს უნდა გაგზავნოდა 5 დღის განმავლობაში. აღნიშნულის ნაცვლად, აპელანტის წარმომადგენელს განჩინება გაეგზავნა 2018 წლის 2 აგვისტოს. აქვე აღსანიშნავია,

[1] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 14 ნოემბრის 2/5/879 გადაწყვეტილება ზურაბ სვანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-7

[2] მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრიციპები და კომენტარები, თბილისი 2015, გვ. 192, §207

რომ არ დადასტურდა საჩივრის ავტორის მითითებული გარემოება დასაბუთებული განჩინების მხოლოდ 2019 წლის 31 იანვარს გაგზავნასთან დაკავშირებით. საქმის მასალების თანახმად, საჩივრის ავტორს არაერთხელ გაეგზავნა განჩინება, რისი ადრესატისთვის ჩაბარებაც ვერ ხერხდებოდა, ხოლო აქედან, პირველი გზავნილი თარიღდება 2018 წლის 2 აგვისტოთი.

დარღვეულ საპროცესო ვადასთან მიმართებაში გათვალისწინებული იყოს განჩინების მხარისათვის ჩაუბარებლობის ხანგრძლივობა (განჩინების მომზადებისა და გაგზავნის დაგვიანების პერიოდმა საერთო ჯამში შეადგინა - 1 თვე და 15 დღე) და მოსამართლის წარმოებაში არსებული საქმეთა სიმრავლე და დატვირთულობა.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, განჩინების კანონით დადგენილი ვადაის დარღვევით გაგზავნა, დარღვეული ვადის ხანგრძლივობის გათვალისწინებით, შესაძლოა გამოწვეული ყოფილიყო მოსამართლის წარმოებაში არსებულ საქმეთა სიმრავლით, რასაც არ მოჰყოლია მხარის უფლებების ან სამართლიანი პროცესის ძირითადი გარანტიების დარღვევა, რაც კონკრეტული შემთხვევის დისციპლინურ გადაცდომად მიჩნევისთვის ერთ-ერთ არსებით ელემენტს წარმოადგენს.

3.2. ამასთან, რაც შეეხება აცილების საკითხს, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოსამართლე, რომელიც მონაწილეობდა საქმის პირველი ინსტანციით განხილვაში, ვერ მიიღებს მონაწილეობას ამ საქმის განხილვაში სააპელაციო ინსტანციის ან/და საკასაციო ინსტანციის სასამართლოში. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მოსამართლე, რომელიც მონაწილეობდა საქმის განხილვაში სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში, ვერ მიიღებს მონაწილეობას ამ საქმის განხილვაში პირველი ინსტანციის ან/და საკასაციო ინსტანციის სასამართლოში. ხოლო მესამე ნაწილის თანახმად, მოსამართლე, რომელიც მონაწილეობდა საქმის განხილვაში საკასაციო ინსტანციის სასამართლოში, ვერ მიიღებს მონაწილეობას ამ საქმის განხილვაში სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში ან/და პირველი ინსტანციის სასამართლოში.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოსამართლემ არ შეიძლება განიხილოს საქმე ან მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში, თუ ის:

ა) ამ საქმეში თვითონ წარმოადგენს მხარეს, ან მას ამა თუ იმ მხარესთან საერთო უფლებები ან ვალდებულებები აკავშირებს;
ბ) ამ საქმის ადრინდელ განხილვაში მონაწილეობდა მოწმედ, ექსპერტად, სპეციალისტად, თარჯიმნად, წარმომადგენლად ან სასამართლო სხდომის მდივნად;
გ) მხარის ან მისი წარმომადგენლის ნათესავია;
დ) პირადად, პირდაპირ ან არაპირდაპირ დაინტერესებულია საქმის შედეგით, ან თუ არის სხვა ისეთი გარემოება, რომელიც ეჭვს იწვევს მის მიუკერძოებლობაში ;
ე) ამ საქმეში მონაწილეობდა მედიატორად.

საჩივრის ავტორი მიუთითებს მოსამართლე -- -- მიერ განხილულ ორ საქმეზე, სადაც მოსარჩელე (აპელანტი) იყო თვითონ და მოსამართლემ გამოიტანა მისი საწინააღმდეგო გადაწყვეტილებები. საჩივრის ავტორს მიაჩნია, რომ ზემოაღნიშნული წარმოადგენდა საფუძველს მოსამართლეს აეცილებინა მის განხილვაში მყოფი ორი მიმდინარე საქმე, სადაც აპელანტი გახლდათ თვითონ.

საქმის მასალების შესწავლის შედეგად გამოირკვა, რომ აცილების შუამდგომლობის დაყენების პერიოდისთვის მოსამართლე -- -- განიხილავდა აპელანტ (მოსარჩელე) -- -- ორ სხვადასხვა სააპელაციო საჩივარს, სადაც დავის საგანი და მოპასუხე მხარე იყო სხვადასხვა. საჩივრის ავტორის მიერ აცილების თაობაზე მოსამართლისთვის მიმართვაში, ისევე როგორც დისციპლინურ საჩივარში, აცილების საფუძვლების არსებობის დამადასტურებელი კანონით განსაზღვრული გარემოება წარმოდგენილი არ ყოფილა, ხოლო მოსამართლე -- -- მიერ სხვადასხვა პერიოდში -- -- სარჩელების განხილვა განსხვავებულ დავის საგანზე (საქმეზე) არ წარმოადგენს აცილების საფუძველს.

საერთო ჯამში, მოსამართლე -- -- განიხილა აპელანტ (მოსარჩელე) -- -- ოთხი სააპელაციო საჩივარი განსხვავებულ საქმეებზე, ამათგან ორ საქმეზე გადაწყვეტილება მიიღო ერთი და იგივე დღეს, რითაც

ასევე საპროცესო ნორმების დარღვევას ადგილი არ ჰქონია.

ამდენად, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების დეტალური ანალიზის შედეგად არ გამოიკვეთა 2019 წლის 24 მაისის №94 საჩივარში მითითებული „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{1} მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრული რომელიმე დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნები.

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრისას მხარს დაუჭერს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის უმრავლესობა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2022 წლის 10 ნოემბრის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ცხრა წევრმა, დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობდა მოსამართლე -- -- მიმართ დისციპლინური დევნისა და ახსნა-განმარტების ჩამორთმევის საფუძვლები.

შესაბამისად „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის მეორე პუნქტისა და 75^{13} მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და 75^{12} მუხლის მეორე პუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №94/19 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი